ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-15 წელი.

№ 99 (1269) / შაბათი, 19 აგვისტო, 1958 წ. / ფასი 30 კაპ.



გულთბილად შეხვდნენ თბილისელი ახალგაზრდები სტუმრებს. პარადის დროს ყველა დელეგაციას მიართვეს ცოცხალი ყვავილების თაიგულები.




100 მეტრზე ფინალური გარბენი დამთავრდა და ფინიშის ლენტი მკერდზე აიკრა ჭაბუკმა, რომელიც ამ სურათზეა აღბეჭდილი. იგი ა. ბედუკაძეა.

**კვირას, «დინამოს» სტადიონზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადა. მოძმე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის, გზათა მიმოსვლის სამინისტროსა და «შრომითი რეზერვების» ნორჩ სპორტსმენებს მიესალმნენ ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის სახელით ლ. დანილოვა, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სახელით ე. ბემანი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოსა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ზ. კვაჭაძე.**

**ანძაზე აფრიალდა სპარტაკიადის ალამი, დამსწრეთა ტაშის გუგუნში ნორჩი სპორტსმენების კოლონებმა მწყობრი ნაბიჯით ჩაუარეს ტრიბუნებს.**

## ა. ბედუკაძე ყველაზე სწრაფი [illegible]

19 გუნდის ათასამდე მოსწავლე მონაწილეობს მძლეოსანთა შეჯიბრებაში.

როგორც წესი, პირველობა გახსნეს 100 მეტრზე რბენის მონაწილეებმა. გოგონების გარბენებში წარმატებით გამოვიდნენ საქართველოს წარმომადგენლები ე. ლუკაშოვა და ტ. პუენიჩნაია, მაგრამ ნახევარფინალებში ნაჩვენები დრო (პირველს ჰქონდა 12,5, მეორეს 12,4) საკმარისი არ აღმოჩნდა, ფინალისათვის. მძლეოსნობის ამ სახეობაში დიდი წარმატება ხვდა წილად ა. ბედუკაძეს, როგორც წინასწარ გარბენში, ისე ნახევარფინალში იგი ყოველთვის პირველი იყო ფინიშთან. სპარტაკიადის გახსნის საზეიმო ცერემონიალის შემდეგ გაიმართა 100 მეტრზე რბენის ფინალი. გოგონებში მანძილი ყველაზე სწრაფად გაირბინა მოსკოვის გუნდის წარმომადგენელმა გ. ვიაზანკინამ, რომელმაც 100 მეტრის დაფარვას 12,2 წამი მოანდომა. ფინიშთან მეორე იყო ლატვიელი ლ. გერიკა — 12,2, მესამე — ბელორუსელი ტ. კოტელოკი.

სტადიონზე შეკრებილნი მოუთმენლად მოელოდნენ ვაჟთა ფინალურ გარბენს... მონაწილენი ტყვიასავით მოწყდნენ სტარტს, შუამანძილიდან რბენას სათავეში ჩაუდგა სამი სპორტსმენი — ლენინგრადელი ვ. იაკოვლევი, ბელორუსი ს. სოლნცევი და ქართველი ა. ბედუკაძე. ფინიშის ლენტს ყველაზე ადრე შეეხო ა. ბედუკაძე, რომელმაც დაფარა მანძილი 10,9 წამში. ვ. იაკოვლევი და ს. სოლნცევი ფინიშთან ამ დროშივე მივიდნენ, მაგრამ ისინი გამარჯვებულს მკერდით ჩამორჩნენ.

დიდი წარმატება ხვდა წილად ლიტვის გუნდის წევრს ი. იაშანინს, რომელმაც ურო ტყორცნა 65,92 სანტიმეტრზე, ეს შედეგი ჭაბუკთა ახალი საკავშირო რეკორდია. მეორე იყო ლენინგრადელი ა. კრივოვი—59,17, მესამე—ა. მიხნოვეცი (ბელორუსია) — 57,94.

საინტერესო ბრძოლა გაიმართა ბადროს მტყორცნელ გოგონათა შორის. მძლეოსნობის ამ სახეობაში გამარჯვებულის სახელი დაისაკუთრა ლ. შახვაროზოვამ („შრომ[illegible] 38,71. [illegible] მეორე იყო უკრაინელი ს. ოგრივკო-შუკოვსკაია — 38,56, მესამე — საქართველოს გუნდის წევრი მ. დიაჩკოვა — 37,82. გოგონებს შორის სიმაღლეზე ხტომა მოიგო დ. ლევანენკომ — 155, ასეთივე შედეგები ჰქონდათ უკრაინელ რ. სტრიჟოვას და მოსკოველ ა. მაიუჩაიას.

ჭოკით ხტომა მოიგო უკრაინელმა ე. ვოლობუევმა — 380 სმ. ასეთივე შედეგით მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს ლენინგრადელმა ი. ფელდმა და უკრაინელმა ა. მოჟაისკიმ. ბირთვის კვრაში ვაჟთა შორის გამარჯვებული გამოვიდა რსფსრ-ს წარმომადგენელი ვ. სიმონოვი — 14,10. მას 64 სანტიმეტრით ჩამორჩა ლენინგრადელი ვ. გრუზინი. მესამე იყო ლიტველი ა. მაუოჟინსკასი — 13,49.

## მკლავმა გაიპო წყალი

ძვირას ბრძოლაში ჩაებნენ მოცურავეები. მონაწილეთა რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ მხოლოდ გოგონებისათვის თავისუფალი სტილით 100 მეტრზე ცურვაში მსაჯთა კოლეგია იძულებული შეიქნა 64 გოგონასათვის 8 წინასწარი გაცურვა მოეწყო. მათ შორის მხოლოდ 8 უძლიერესმა მოიპოვა ფინალში ბრძოლის უფლება საპრიზო ადგილებისათვის. აქ წინასწარ გაცურვებში ყველაზე კარგი შედეგი აჩვენა ჩვენი ქვეყნის რეკორდსმენმა გოგონათა შორის ამ დისტანციაზე მოსკოველმა გ. ფილიპმა — 1.09,9, რაც მისსავე საკავშირო რეკორდზე უარესია 1,9 წამით.

ჩვენი რესპუბლიკიდან ამ სახეობაში 4 სპორტსმენი გამოდიოდა, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ გავიდა ფინალში. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს გოგონათა გუნდი ამ შეჯიბრებისათვის ძალზე სუსტადაა მომზადებული, რაც უარყოფით გავლენას ახდენს საერთო გუნდურ ჩათვლაზე. საქართველოს გოგონები წარუმატებლად გამოვიდნენ 200 მეტრზე ბრა-[illegible] 4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით. პირველ გაცურვაში 200 მეტრზე ბრასით ყველაზე კარგი შედეგი — 3.07,1 ჰქონდა თბილისელ კრილოვას, რომელიც პირველობის ერთ-ერთ პრეტენდენტად ითვლება ფინალურ გაცურვაში. სამაგიეროდ, ჩვენი რესპუბლიკის სხვა წარმომადგენლები თავიანთ გაცურვებში 7-8 ადგილებს არ გასცილებიან.

გოგონთა არასათანადო მომზადებაზე მეტყველებს მე-7 ადგილი ესტაფეტაში. ამ სახეობაში ჩემპიონები გახდნენ მოსკოველი გოგონები — 4.54,0. ლენინგრადელები და უკრაინელები შესაბამისად გამოვიდნენ მეორე და მესამე ადგილებზე.

გოგონებისაგან განსხვავებით წარმატებით გამოდიან ჭაბუკები. უკვე პირველსავე სახეობაში — 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში კობეცკოიმ (საქართველო) აჩვენა ყველაზე კარგი შედეგი — 1.01,0, რაც სულ 0,7 წამით ჩამორჩება ჭაბუკთა საკავშირო რეკორდს. თავიანთ გაცურვებში პირველი ადგილები მოიპოვეს აგრეთვე გიორგაძემ შედეგით 1.02,8 და ვოევოდამ — 1.05,5.

ბრასის სტილით 200 მეტრზე ცურვაში თბილისელმა 16 წლის მოსწავლემ ფუნიკოვმა ერთხელ კიდევ ცხადყო თავისი სიძლიერე და 46 მონაწილედან ყველაზე კარგი შედეგით (2.48,7) მოიპოვა ფინალში მონაწილეობის უფლება.

ვაჟთა ესტაფეტაში 4×200 მეტრზე თავისუფალი სტილით პირველ ეტაპზე წინ იყო ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი, მაგრამ შემდგომში დაწინაურდა რსფსრ-ს კოლექტივი. მართალია, მეოთხე ეტაპზე გიორგაძემ საგრძნობლად შეამცირა განსხვავება, მაგრამ იგი საკმარისი არ აღმოჩნდა გამარჯვებისათვის. პირველი ადგილი მოიპოვა რსფსრ-ს კოლექტივმა — 9.33,0, მეორეზეა საქართველო — 9.36,8, მესამეზე — უკრაინა — 9.43,5.

მოსკოვის გუნდი, რომელსაც შეეძლო მესამე ადგილის მოპოვება, წესის დარღვევისათვის მოიხსნა შეჯიბრებიდან, ამის მიუხედავად, საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი დღის შეჯიბრების სათავეში მაინც მოსკოვის კოლექტივი იყო.

## „დაიჭირეთ №4“

უკვე ჩატარდა რამდენიმე შეხვედრა წყალბურთელთა ფინალურ ჯგუფში. ყოველი გუნდი ახლავე თავგამოდებით ცდილობს არ დაკარგოს საჭირო ქულა, ვინაიდან პირველობის ბედს მინიმალური უპირატესობა გადაწყვეტს. ამას ადასტურებს უკვე ჩატარებულ შეხვედრათა შედეგები. წინასწარი შეხვედრების „ასტრონომიული“ ანგარიშები 20:0, 19:0, 20:1, 17:0 შეცვალა მინიმალური ანგარიშით მოგებებმა და ფრეებმა.

პირველ დღეს ლენინგრადისა და სომხეთის გუნდების შეხვედრაში განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ლენინგრადელთა მეკარემ, რომელმაც აიღო 4-მეტრიანი საჯარიმო. სომხეთის წყალბურთელებს კვლავ მიეცათ ბურთის გატანის აშკარა შესაძლებლობა (დაინიშნა 4-მეტრიანი საჯარიმო), მაგრამ ისიც მეკარემ მოიგერია. გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა 3:1.

ამ დღეს ყურადღების ცენტრში იყო საქართველოსა და უკრაინის გუნდების მატჩი. პირველობის ამ პრეტენდენტთა შეხვედრის დაძაბულობაზე მეტყველებს ის, რომ 20 წუთის განმავლობაში ანგარიში ხუთჯერ იყო საყაიმო—1:1, 2:2, 3:3, 4:4, 5:5. გადამწყვეტი უპირატესობას ვერც ერთმა გუნდმა ვერ მიაღწია და შეჯიბრების ცხრილში აღინიშნა პირველი ფრე—5:5.

სპარტაკიადის საზეიმო გახსნის დღეს ქართველ წყალბურთელებს რიგით მეორე, მაგრამ მეტად საპასუხისმგებლო შეხვედრა ჰქონდათ მოსკოვის ძლიერ კოლექტივთან.

საქართველოს გუნდმა გაიმარჯვა, მაგრამ მან გულშემატკივართა ბევრი საყვედური დაიმსახურა. რადგან მათ მიერ ბევრი ნატყორცნი ბურთი აცდა მოსკოველთა კარს. ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა [illegible], რომელმაც 4-მეტრიანი საჯარიმო მოსკოველთა მეკარეს „შეაჩეჩა“ ხელში, შემდეგ კი მეკარესთან პირისპირ გასულმა ვადაჭკორიამ 2 მეტრიდან ვერ გაიტანა გოლი.

თავისი გუნდი ჯერ დამარცხებისაგან იხსნა და შემდეგ გამარჯვებაც მოუტანა მიმინოშვილმა. ტყუილად კი არ კიჟინებდნენ ტრიბუნებიდან მოსკოვის გუნდის ქომაგები № 4 დაიჭირეთო. სწორედ ეს № 4 იყო მიმინოშვილი, რომელმაც პირველი გოლი კარიდან საკმაოდ დაშორებით, ხელუკუღმა ტყორცნით გაქვითა და შემდეგ მეტად კრიტიკულ მომენტში გაუსხლტა ნეკრასოვს და ახლო მანძილიდან მეორე და გადამწყვეტი ბურთი მოათავსა მოსკოველთა კარში.

მეტად პრინციპული შეხვედრა ჰქონდა გასულ წელს მეორე ადგილზე გამოსულ უკრაინის გუნდს „შრომითი რეზერვების“ წინააღმდეგ. უკრაინელებმა მხოლოდ შეხვედრის ბოლო წუთზე მოახერხეს გადამწყვეტი ბურთის გატანა და მოიგეს ძნელი შეხვედრა ანგარიშით 3:2.

## დამტკიცდა ი. სტეპანოვის რეკორდი

სპორტის მოყვარულთათვის კარგადაა ცნობილი, რომ გამოჩენილი ლენინგრადელი მძლეოსნის იური სტეპანოვის შესანიშნავი შედეგი სიმაღლეზე ხტომაში — 2 მ 16 სმ დიდხანს დაუმტკიცებლად იყო მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ოქმებში იმ საბაბით, ვითომ მისი ეს შედეგი მხოლოდ სქელლანჩიანი ფეხსაცმლის „მიღწევა“ იყო და მეტი არაფერი.

15 აგვისტოს მძლეოსნობის ფედერაციამ მსოფლიო რეკორდად აღიარა ი. სტეპანოვის მიერ 1957 წლის 13 ივლისს ნაჩვენები შედეგი — 2 მ 16 სმ.

# დასკვნები დროულად უნდა გაკეთდეს

ფინალური შეხვედრების მეორე ტურში საქართველოს ჭაბუკ ფრენბურთელთა წინააღმდეგ თამაშობდნენ უკრაინელები. წინა მატჩში „შრომით რეზერვებთან" დამარცხების შემდეგ — 1:3, რაც ჩვენი გუნდის შეუთანხმებელი თამაშით უფრო აიხსნება, ვიდრე მოწინააღმდეგის სიძლიერით, მოსალოდნელი იყო სათანადო დასკვნების გაკეთება, მაგრამ, როგორც ჩანს, გუნდმა და მისმა ხელმძღვანელობამ პირველი მარცხი შემთხვევითობით ახსნეს და უკრაინელთა წინააღმდეგ, რომლის შემადგენლობაში რამდენიმე მაღალი კლასის სპორტსმენია, მოედანზე იოლ გამარჯვებაში დარწმუნებული გამოვიდნენ.

მოტყუვდნენ. პირველივე პარტიაში სტუმრებმა გააზრებული კომბინაციებით ანგარიში თავიანთ სასარგებლოდ წაიყვანეს, რასაც დაემატა მასპინძელთა ზედმეტი ნერვიულობა და ბურთების უსისტემო მოგერიება. პირველი პარტიის ბედი გადაწყდა უკრაინელთა სასარგებლოდ.

დაძაბულად წარიმართა მეორე პარტია. საქართველოს ჭაბუკებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება — 1:1. მომდევნო პარტიებში გონგაძისა და აგრბას სისუსტემ დაცვაში უკრაინელებს საშუალება მისცა მიეღწიათ უპირატესობისათვის და შეხვედრაც მათი გამარჯვებით დამთავრდა — 3:2. აქვე უნდა აღინიშნოს საქართველოს სპორტსმენთა არაეთიკური საქციელი, როცა მატჩის დამთავრების შემდეგ მათი კაპიტანი არ გამოცხადდა მსაჯთან, რაც უდავოდ გაკიცხვის ღირსია.

ამ დღეს ჩვენი რესპუბლიკის გოგონათა გუნდმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა ლიტვასთან. შეხვედრის საბოლოო შედეგი—3:2 ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს მოედანზე თანასწორთა ბრძოლა წარმოებდა, მაგრამ დასაწყისი სულ სხვა შედეგს პირდებოდა მაყურებელს. თბილისელები უკეთ არიან მომზადებული, ვიდრე ლიტველები, მაგრამ ზოგიერთი სპორტსმენის მიერ ადგილების არაზუსტად შერჩევამ შეხვედრა 5 პარტიამდე გააგრძელა. მართალია, წულაიას, ყარაგეზოვასა და განსაკუთრებით აბუაშვილის კარგი თამაშით გუნდმა პირველ პარტიაში ისე აიღო 15 ქულა, რომ მოწინააღმდეგისათვის ერთხელაც არ მიუციათ ბურთის ჩაგდების საშუალება, მაგრამ შემდეგ პირველი სიმშვიდე სადღაც გაჰქრა, რასაც თან გაჰყვა მოწოდებათა სიზუსტე, კოლექტიური თამაში. ანგარიში გათანაბრდა, რაშიც სათანადო „დამსახურება" მიუძღვით გოგლიძეს, მანტოს და მწვრთნელსაც, რომელიც თამაშის მსვლელობისას ზედმეტად ანერვიულებდა გუნდს „ინსტრუქტაჟით", რაც წესით აკრძალულია. თბილისელებმა წააგეს თითქმის მოგებული პარტია.

სტუმრებმა პლეხჩაიტეს გააზრებული თამაშისა და ძლიერი დარტყმების წყალობით მოიგეს მეოთხე პარტია, მაგრამ მეტის გაკეთება ველარ შეძლეს. მე-5, გადამწყვეტ პარტიაში მასპინძლებმა მიაღწიეს სასურველ შედეგს და მოიგეს შეხვედრა ანგარიშით 3:2.

სასურველი იქნებოდა, რომ ჩვენი გუნდები მოედანზე გამოვიდნენ ყოველგვარი ნერვიულობის გარეშე, ითამაშონ გაბედულად, კომბინაციურად, ხოლო დამარცხების შემთხვევაში, თუნდაც შემთხვევითიც იყოს იგი, პატივი სცენ მოწინააღმდეგე გუნდებსა და მსაჯებს.

I–VIII ადგილებისათვის მებრძოლ სხვა გუნდების შეხვედრათა შედეგები ასეთია:

პირველი დღე. ჭ ა ბ უ კ ე ბ ი: უკრაინა-ლიტვა — 3:1; მოსკოვი-რსფსრ — 3:1, აზერბაიჯანი-ლატვია — 3:1. მეორე დღე: მოსკოვი-„შრ. რეზერვები" — 2:3, ლატვია-ლიტვა — 3:2, აზერბაიჯანი-რსფსრ — 3:2.

გ ო გ ო ნ ე ბ ი. პირველი დღე— მოსკოვი-ლატვია — 3:1, ლიტვა-ესტონეთი — 3:2, „შრ. რეზერვები"-ლენინგრადი — 3:1, მეორე დღე— ესტონეთი-ლენინგრადი — 3:2, მოსკოვი-„შრ. რეზერვები" — 3:0 და უკრაინა-ლატვია — 3:1.



მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადის გახსნისადმი

# ძნელი და საპატიო ქულა

თბილისელ სპორტის მოყვარულებს კარგად ახსოვთ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი პოპულარული გუნდის, კაუნასის „ჟალგირისის" თამაში, როდესაც მის შემადგენლობაში გამოდიოდნენ კალათბურთის ცნობილი ოსტატები სერგიავიჩუსი, ბუტაუტასი, პეტკიავიჩუსი, ლაგუნავიჩუსი, სტონკუსი და სხვები. ლიტველთა გუნდს მაშინ „კალათბურთის აკადემიას" უწოდებდნენ ორგანიზებული, მაღალტექნიკური და უშეცდომო თამაშისათვის.

ლიტვის ჭაბუკთა გუნდმა თავისი მეორე კალენდარული შეხვედრა ფინალში ჩაატარა ისევე აკადემიურად, როგორც ამას უწინ აკეთებდნენ მათი უფროსი ამხანაგები და თუ მან ვერ მიაღწია წარმატებას, ამაში ბრალი მიუძღვის შეხვედრის მეორე ნახევარს, სადაც ლიტველებმა უღალატეს თავიანთ ტაქტიკას, ვერ გაუძლეს ბოლომდე აღებულ ტემპსა და დაძაბულობას. კალათბურთში შედეგის განსაზღვრა სხვა სისტემით რომ ყოფილიყო შესაძლებელი, ლიტვისა და საქართველოს ჭაბუკთა თამაშს სასიამოვნო ანგარიში შეეფერებოდა: ლიტვამ აშკარად მოიგო შეხვედრის პირველი ნახევარი — საქართველოს გუნდმა კი — მეორე. მაგრამ ვინაიდან ექსპერიმენტებს ჯერ არავინ მიმართავს, გამარჯვება ამ უაღრესად მძაფრ ბრძოლაში დარჩა გუნდს, რომელმაც ბოლომდე შეძლო თავგამოდებით ბრძოლა და მეტი სიმტკიცე და მიზანდასახულობა გამოიჩინა.

როგორ წარიმართა თვით თამაში? პირველივე წუთიდან ინიციატივა ხელთ იგდეს ლიტვის სპორტსმენებმა და წაიყვანეს ანგარიში— 6:0. საქართველოს კალათბურთელთა ზონური დაცვა ვერ გამოდგა საიმედო ჯებირი ფარის მისადგომების დასაცავად. სტუმრები მარტივად და ეფექტურად არღვევდნენ ზონას და გამუდმებით ზრდიდნენ ანგარიშს თავის სასარგებლოდ. 13:4 — პირველი საგანგაშო სიგნალი იყო. საქართველოს გუნდის მწვრთნელმა მიიღო სწორი გადაწყვეტილება და ზონური დაცვა შეცვალა „პერსონალური აყვანით".

მდგომარეობა ნაწილობრივ გამოსწორდა და ანგარიშში განსხვავება შემცირდა 3 ქულამდე — 15:12, მაგრამ ძალზე მცირე ხნით. ლიტველები, რომელთა შორის გამოირჩეოდნენ გ. გედრაიტისი (№ 6) და კ. ბუდრაიტისი (№ 3) კვლავ ეფექტურად უტევდნენ ჩვენს ფარს და ანგარიშიც მათ სასარგებლოდ იზრდებოდა — 18:14, 26:20, 30:20.

ლიტველები ბრწყინვალედ თამაშობდნენ( რაშიც მათ სამწუხაროდ, ხელს უწყობდნენ საქართველოს კალათბურთელებიც. ჩვენი გუნდი მისთვის მეტად უჩვეულო სტილით თამაშობდა. მაღალი ტანის კალათბურთელები (კაზანჯიანის გარდა) არ იბრძოდნენ ფარქვეშ, დიდი შეცდომებით ისროდნენ კალათში, კარგავდნენ გადაცემებს და ზედმეტად ნერვიულობდნენ. პირველი ნახევარი დამთავრდა ლიტვის კოლექტივის სასარგებლოდ — 30:24. საქართველოს გუნდში პირველი ოცი წუთი ბოლომდე მხოლოდ კაზანჯიანმა (№7) იბრძოლა. მან გუნდს 14 ქულა მისცა.

მეორე ნახევარში სურათი შეიცვალა. უფრო აქტიურად დაიწყო მოქმედება ლ. მოსეშვილმა. ჩვეული აგრესიულობით შეუტია მოწინააღმდეგის კალათს ვ. ალტაბაევმა. ენერგიულად დაიწყო თამაში ა. საკანდელიძემ, ხოლო კაზანჯიანი ძველებურად ნაყოფიერად მუშაობდა. ანგარიშში განსხვავება შემცირდა მინიმუმამდე და ბოლოს გათანაბრდა კიდეც — 33:33.

მომდევნო წუთებში ინიციატივა საქართველოს სპორტსმენთა ხელში გადავიდა, რომელიც მათ შეხვედრის დამთავრებამდე შეინარჩუნეს. ამ მოგებით საქართველოს გუნდმა ძნელი და საპატიო ქულა მიიღო. საბოლოო ანგარიშია 70:60.

წარმატებით გამოდის ფინალში საქართველოს გოგონათა გუნდიც. მას უკვე სამი ქულა აქვს აქტივში. პირველი ქულა ჩვენმა გუნდმა „მემკვიდრეობით" მიიღო ესტონეთისაგან (წინასწარი თამაშების შედეგად). [illegible] მან „წაართვა" რსფსრ-ს ნაკრ[illegible] — 40:27, ხოლო მესამე — უკრაინას—42:33.

ქვემოდ მოგვყავს ფინალური ტურნირის მონაწილე გუნდების ტექნიკური შედეგები: გ ო გ ო ნ ე ბ ი, 16 აგვისტო. ლიტვა-უკრაინა —56:37, „შრომითი რეზერვები"-ყირგიზეთი — 40:21, ლატვია-ესტონეთი — 53:29. 17 აგვისტო — „შრომითი რეზერვები"-რ ს ფ ს რ (ოლქ. ნაკრ.) — 39:32, ლატვია-ლიტვა — 76:44, ესტონეთი-ყირგიზეთი — 45:30.

ჭ ა ბ უ კ ე ბ ი, 16 აგვისტო. ყირგიზეთი-აზერბაიჯანი — 71:63, საქართველო-ლატვია — 69:45, ლიტვა-„შრომითი რეზერვები" — 65:27, უკრაინა-ესტონეთი—63:55. 17 აგვისტო: ლატვია-ყირგიზეთი — 54:50, უკრაინა-აზერბაიჯანი — 54:32, ესტონეთი-„შრომითი რეზერვები" — 64:36.



განა მარტო მძლეოსნობას, ცურვას ან ძალოსნობას ჰყავს რეკორდსმენები? განა მარტო სპორტის ამ სახეობის წარმომადგენლები შეიძლება გახდნენ რეკორდის მფლობელნი? მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე თავისებური რეკორდი დაამყარა უზბეკმა კალათბურთელმა გოგონამ რავილ სალიმოვამ. მას მანძილი არ გაურბენია სარეკორდო დროში, არც გაუცურავს. რავილი სპარტაკიადაზე სიმაღლის აბსოლუტური რეკორდსმენია. მისი სიმაღლის გოგონები კი არა, ჭაბუკებიც არ არიან. რავილ სალიმოვა თავისი 198 სანტიმეტრით სპარტაკიადის ყველაზე მაღალი მონაწილე ყოფილა.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: თქვენ ხედავთ რავილ სალიმოვას შეჯიბრებისაგან თავისუფალ დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# გათამაშებას ლიდერობენ ლიტველები

როგორც მოსალოდნელი იყო, ფინალურ ჯგუფში ვაჟთა შორის მაგიდის ჩოგბურთში თავიდანვე დაწინაურდნენ ლიტვისა და „შრომითი რეზერვების" გუნდები. ჩანს, რომ სპარტაკიადის ჩემპიონობისათვის ბრძოლა ძირითადად მათ შორის გაჩაღდება. ლიტველებმა მაქსიმალური ანგარიშით (11:0) დაამარცხეს რუსეთის ფედერაციის ოლქების ნაკრები, რომელსაც „შრომითი რეზერვებმა" მოუგეს მხოლოდ ანგარიშით 8:3. სამაგიეროდ, „შრომითი რეზერვების" ანგარიში მოსკოველებთან (11:0) ვერ გაიმეორეს ლიტველებმა და წააგეს ერთი შეხვედრა—1:10. მესამე შეხვედრა ლიტველებმა მოუგეს ლენინგრადელებს — 8:3, ხოლო ესტონეთის ძლიერი კოლექტივი დაამარცხეს „შრომითი რეზერვების" სპორტსმენებმა—7:4. ლიდერებს ფეხდაფეხ მიყვებიან ესტონელები, რომლებმაც მოუგეს მოსკოვის (9:2) და ლატვიის (7:4) გუნდებს.

გოგონათა შორის ჩემპიონობისათვის ბრძოლაში წინ არიან ლიტველი მოსწავლეები, რომელთაც პირველ დღესვე ანგარიშით 11:0 მოუგეს „შრომითი რეზერვებს".

მე-9–16 ადგილებისათვის ბრძოლაში ვაჟთა შორის ქართველმა ჩოგბურთელებმა ორ შეხვედრაში ერთნაირი ანგარიშით—6:5 ძლიეს უკრაინისა და სომხეთის გუნდებს, მაგრამ დამარცხდნენ აზერბაიჯანელებთან — 3:8.

გოგონათა ჯგუფში ბრძოლა ლიდერობისათვის მიმდინარეობს საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის სპორტსმენებს შორის. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა აზერბაიჯანისა და ყაზახეთის გუნდებს მოუგეს თვითეულს 11:0, ხოლო მოლდაველები დაამარცხეს ანგარიშით 9:2. რუსეთის ფედერაციის გუნდმა კი წარმატებას მიაღწია ბელორუსის (6:5), ყირგიზეთისა (10:1) და ყაზახეთის (7:4) კოლექტივებთან შეხვედრაში.



დროშა ანძისაკენ მ

მე-2 გვ. № 99 (1269)



...ენილი საზეიმო მარშის მონაწილენი „დინამოს“ სტადიონზე.

# მაღალი ტემპი, კარგი ტექნიკა

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 17 აგვისტო.

„ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (ქუთაისი) — 4:2 (3:0).

„ბურევესტნიკი“ — რუხაძე; სიქინავა, კუჭავა, წოწელია; მუმლაძე, გოგიჩაიშვილი; იაშვილი, ჩიჩუა, ზეინკლიშვილი, ურთქმელიძე, ავაქოვი (შ. სიჭინავა).

„ლოკომოტივი“ — ურუშაძე; კვახაძე, ანთიძე, ... ჩხეიძე; პეტრიაშვილი, დავარაშვილი; კახიანი, სორდია, ჟორდანია, გომელაური, დათუნაშვილი.

მსაჯი ა. მუგურდუმოვი (კიევი).

ტემპი, რომელიც ქუთაისელმა ფეხბურთელებმა შეთავაზეს „ბურევესტნიკს“, მეტად მაღალი იყო. ასეთი სისწრაფით თამაში მეტად ძნელია და მოთამაშეთაგან მოითხოვს როგორც კარგ ფიზიკურ მომზადებას, ისე მაღალ ტექნიკას, სათანადო შეთამაშებას და ურთიერთმოქმედებას.

ქუთაისის „ლოკომოტივის“ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მისი თამაშის მაღალი ტემპი, მოთამაშეთა ენერგია და დიდი შრომისუნარიანობა ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული სამოქმედო გეგმასთან. გუნდს გააჩნია განსაზღვრული ტაქტიკური ნახაზი, რომლის მიხედვითაც წარმატებით სრულდება როგორც ტიპიური, წინასწარ შემუშავებული კომბინაციები, ისე თამაშის მსვლელობით ნაკარნახევი, ე. წ. შემოქმედებითი მანევრები.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა რკინიგზელთა დაცვამ და ნახევარდაცვამ. ხუთივე მოთამაშე ძალების მაქსიმალური დაძაბვით, როგორც იტყვიან, „კბილებით“ იბრძვის თავის კართან გასაჭირის დროს და ცდილობს არ მისცეს მოწინააღმდეგეს თავისუფალი მოქმედების საშუალება.

თავდასხმაში უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იპყრობდა ჟორდანია. ეს აგრესიული სტილის, შემტევი მოთამაშე, ყოველ სიტუაციაში მოქმედებს ყოყმანის გარეშე, გადაჭრით და გუნდისათვის დიდი სარგებლით, ასევე თამაშობენ მისი პარტნიორებიც, რომელთაგან არც ერთს არ დაზარებია „შავი სამუშაოსათვის“ ჩამოსვლა საკუთარ საჯარიმო მოედანთან.

თბილისის „ბურევესტნიკი“ ტემპში ვერ აყვა მოწინააღმდეგეს და თავიდანვე პასიურად ითამაშა, მცველები აგვიანებდნენ ბურთზე გასვლას და ძლივს ასწრებდნენ მის მოგერიებას.

ანგარიში პირველ წუთებზევე გახსნა პეტრიაშვილმა სორდიას გადაცემიდან. 22-ე წუთზე სორდიამ კვლავ კარგად მიაწოდა ცენტრში. აქ ჟორდანიამ წინდახედულად გაუშვა ბურთი ფეხებქვეშ და კახიანმა მეორე ბურთი გაიტანა — 2:0.

ტაიმის დასასრულს ჟორდანიამ დაუყოვნებლივ გამოიყენა კუჭავას ტექნიკური შეცდომა და შეუცდომელი დარტყმით ბურთი ბადეში გაგზავნა — 3:0.

„ბურევესტნიკმა“ შედარებით უკეთესად ითამაშა მეორე ტაიმში და ავაქოვმა მალე გაქვითა კიდეც ერთი გოლი, მაგრამ მე-15 წუთზე დათუნაშვილის გარღვევის შემდეგ ბურთი გადაეცა კახიანს, რომელმაც ახლო მანძილიდან მეოთხე ბურთი გაიტანა — 4:1.

მხოლოდ მატჩის ბოლო წუთებზე შეძლეს თბილისელებმა კიდევ ერთი გოლის გატანა კუთხური საჯარიმოს შემდეგ და მატჩი დამთავრდა ქუთაისის „ლოკომოტივის“ სასარგებლოდ, ანგარიშით 4:2.

რ. ჭორიძე

# ტურნირი პორტოროჟში

მეშვიდე ტური მშვიდობიანი გამოდგა. 10 პარტიიდან 7 ყაიმით დამთავრდა. ავერბახ-ფიშერის პარტიაში საბჭოთა გროსმაისტერი მედგრად უტევდა მეტოქეს, ჭაბუკი ოსტატი კი თავგანწირვით იგერიებდა მუქარებს. პოზიცია სულ უფრო რთულდებოდა და ბოლოს ისე აირია, რომ ორივე მეტოქემ არჩია „დიპლომატიური“ მოლაპარაკების შემდეგ ყაიმით დაკმაყოფილებულიყვნენ. ასევე მოიქცნენ ზენკო და ლარსენი. დანიელმა გროსმაისტერმა პაიკი შეწირა, მოემზადა სალაშქროდ და... ყაიმზე შეთანხმდა. ფიუშტერს ოდნავ უკეთესი შანსები ჰქონდა, მაგრამ ცაიტნოტში მიიღო პანოს მიერ შემოთავაზებული ყაიმი. უინტერესო იყო აგრეთვე შერვინ-ფილიპის, დეგრეიფ-მატანოვიჩისა და საბო-პახმანის პარტიები.

ტალი-გლიგორიჩის პარტია, მართალია, ყაიმით დასრულდა, მაგრამ იგი უაღრესად დაძაბული ბრძოლის ლოგიკური დასასრული იყო.

პეტროსიანი ღრმა სტრატეგია. ნელა ავითარებდა იგი ბრძოლას ახალგაზრდა კარდოსოსთან. ფილიპინელს არ ეყო მოთმინება და ლაზიერის შეჭრით დაიწყო აქტიური ოპერაციები. პეტროსიანმა ლაზიერს მახე დაუგო. კარდოსომ ვულუზრყვილოდ აიყვანა ორი პაიკი და სულ მალე წააგო პარტია. სანგინეტიმ დაამარცხა თავისი თანამემამულე როსეტო.

მერვე ტურში ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა გროსმაისტერები ავერბახი და ბრონშტეინი. მეტოქეები მხოლოდ მაშინ შეთანხმდნენ ყაიმზე, როცა ცაიტნოტის „მარწუხები“ იგრძნეს. ტალმა ვერაფრით ვერ მოახვია მწვავე თამაში ნეიკირხს, რომელიც მხოლოდ გამარტივებისაკენ მიისწრაფოდა. უკვე საკმაოდ მარტივ პოზიციაში ტალმა მიიღო შემოთავაზებული ყაიმი. ადრე გაიცვალა ლაზიერები გლიგორიჩ-პეტროსიანის პარტიაში და აშკარა იყო, რომ პარტია მშვიდობიანად დამთავრდებოდა. ყაიმით დასრულდა აგრეთვე პანო-როსეტოსა და ფილიპ-დეგრეიფის პარტიები.

პირველი გამარჯვება მოიპოვა კარდოსომ ამერიკელ შერვინთან. საერთო მოწონება ჰპოვა ფიშერის თამაშმა ლარსენთან პარტიაში. აშშ-ს ჭაბუკმა ჩემპიონმა ხარისხის შეწირვით დაამსხვრია დანიელი გროსმაისტერის პოზიცია.

გადადებული პარტიების დამთავრებისას ზენკო-ბრონშტეინის პარტია 70-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა. მეორე პარტია ზენკომ მოუგო სანგინეტის. ოლაფსონმა გაიმარჯვა ფიუშტერთან და 6 სვლის შემდეგ დანებდა ნეიკირხს. ამათ გამოდგა საბოს წინააღმდეგობა მატანოვიჩთან პარტიაში. 58-ე სვლაზე იგი წაგებას შეურიგდა.

მერვე ტურის შემდეგ ლიდერობენ ტ. პეტროსიანი — 6 ქულა, პ. ზენკო და ფ. ოლაფსონი — 5,5 ქულა თვითეულს, მ. ტალი, ი. ავერბახი, ა. მატანოვიჩი — 5 ქულა თვითეულს.

# დასაწყისი კარგია

ტირის სასროლეთმა რეკონსტრუქციის შემდეგ პირველად მიიღო სპარტაკიადის მონაწილე ნორჩი სპორტსმენები. პირველად ცეცხლის ხაზზე გამოვიდნენ „წოლელა“ მდგომარეობით 50 მეტრზე მსროლელები. პირად ჩათვლაში თვითეულს ეძლეოდა 30 გასროლის უფლება.

დასაწყისიდანვე სპორტსმენები უშეცდომოდ ესროდნენ, მაგრამ შემდეგ...

... შემდეგ თანდათან დაცხა, ჰაერი დამძიმდა. ლიდერთა შორის ზევრს დაეტყო დაღლილობა და ტყვიები თანდათან დაშორდა სასურველ მიზანს. მხოლოდ სამი — ვ. არუდაშვილი, ვ. კაკაურიძე (ორივე ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებიდან) და უკრაინელი ს. კრივოი ვერაფერს ამჩნევდნენ გარდა საკუთარი სამიზნისა. მტკიცე ნებისყოფამ და გამარჯვებისადმი უდიდესმა სწრაფვამ საშუალება მისცა მათ დაწინაურებულიყვნენ.

როცა შეჯიბრება დამთავრდა, გამოირკვა, რომ არუდაშვილს, კაკაურიძესა და კრივოის ქულათა ყველაზე მეტი რაოდენობა — 285 ჰქონდათ თვითეულს 300 შესაძლებლიდან.

გუნდურ ჩათვლაში პირველობა დამთავრდა საქართველოს მსროლელთა გამარჯვებით, რომლებმაც 1.123 ქულა მოაგროვეს და 7 ქულით გაასწრეს უახლოეს კონკურენტს — უკრაინის გუნდს.

# ნამდვილი ბრძოლა ახლა იწყება

დამთავრდა ფეხბურთელთა შეხვედრები ქვეჯგუფებში, მაგრამ ნამდვილი ბრძოლა პირველობისათვის იწყება ახლა, როცა შედგა ორი ფინალური ქვეჯგუფი. პირველ მათგანში არიან: მოსკოვი, უკრაინა, გზათა მიმოსვლის სამინისტრო, სომხეთი. მეორეში — ლენინგრადი, „შრომითი რეზერვები“, საქართველო, აზერბაიჯანი.

გუშინ დილას დაიწყო ფინალური მატჩები. მოსკოვისა და სომხეთის გუნდების შეხვედრაში ანგარიში არ გახსნილა — 0:0, ხოლო აზერბაიჯანელებმა დიდი ანგარიშით — 6:0 დაამარცხეს ლენინგრადი.

• • •

გუშინ საღამოს საქართველოს ნაკრები შეხვდა „შრომითი რეზერვების“ გუნდს. მოწინააღმდეგის პირველი იერიშის მოგერიების შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთელები დიდი ხნით დაეუფლნენ მინდორს, რამდენიმეჯერ კარგად გავიდა კართან მარჯვენა გარემარბი სირაძე, მაგრამ მისი გადაცემები ბოლო მომენტში ყოველთვის არაზუსტი იყო. ასევე თამაშობდნენ მისი პარტნიორებიც, რომლებიც ხშირად კარგავდნენ ბურთს და ვერ ახერხებდნენ კომბინაციების ფართოდ გაშლას.

საერთო უპირატესობა ჰქონდათ საქართველოს ფეხბურთელებს მეორე ტაიმშიც, მაგრამ ნამდვილ სახიფათო მომენტებს „შრომითი რეზერვების“ გუნდის კართან ისინი იშვიათად თუ ჰქმნიდნენ. გადამწყვეტ მდგომარეობაში აგვიანებდნენ დავითულიანი, სირაძე, პაპელიშვილი, შავიშვილი. რამდენიმე დარტყმა შორი მანძილიდან არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდა სტუმრებისათვის. სამაგიეროდ, ჩვენი გუნდი აშკარა გოლს გადარჩა ძელის წყალობით.

მატჩი დამთავრდა უშედეგოდ — 0:0.



...ვთ ნორჩი სპორტსმენებს.

## სპარტაკიადის კალენდარი

### ფეხბურთი

19 აგვისტო

„დინამოს“ სტადიონი. 9.00 მოსკოვი-გზათა მიმოსვლის სამინისტრო, 17.00 საქართველო-ლენინგრადი.

„ბურევესტნიკის“ სტადიონი. 9.45 აზერბაიჯანი-„შრ. რეზერვები“, 17.00 რსფსრ (ოლქი)-ყაზახეთი, 18.30 უკრაინა-სომხეთი.

### კალათბურთი

20 აგვისტო

17.00 გოგონები—უკრაინა-ყირგიზეთი, 18.10 ჭაბუკები — ყირგიზეთი-„შრ. რეზერვები“, 19.20 გოგონები ლატვია-რსფსრ (ოლქი), 20.30 ჭაბუკები საქართველო-უკრაინა, 17.00 ჭაბუკები აზერბაიჯანი-ესტონეთი, 18.10 გოგონები ესტონეთი-„შრ. რეზერვები“, 19.20 ჭაბუკები ლატვია-ლიტვა, 20.30 გოგონები ლიტვა-საქართველო.

### წყალბურთი

20 აგვისტო

15.40 ლენინგრადი-„შრ. რეზერვები“, 17.30 რსფსრ (ოლქი)-მოსკოვი, 18.20 სომხეთი-უკრაინა, 19.10 აზერბაიჯანი-საქართველო.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: კალათბურთელები და წყალბურთელები 19 აგვისტოს ისვენებენ.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 19 აგვისტოსათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ | 16 | 11 | 4 | 1 | 42:18 | 26 |
| ცსკ მო | 17 | 8 | 6 | 3 | 33:18 | 22 |
| „დინამო“ მ. | 16 | 8 | 3 | 5 | 30:20 | 19 |
| „შახტიორი“ | 16 | 8 | 3 | 5 | 17:18 | 19 |
| „ზენიტი“ | 15 | 6 | 6 | 3 | 28:18 | 18 |
| „ლოკომოტივი“ | 14 | 6 | 5 | 3 | 23:14 | 17 |
| „ტორპედო“ | 16 | 4 | 8 | 4 | 36:32 | 16 |
| „დინამო“ თბ. | 16 | 5 | 2 | 9 | 26:47 | 12 |
| „დინამო“ კ. | 14 | 2 | 7 | 5 | 23:24 | 11 |
| „მოლდოვა“ | 15 | 2 | 6 | 7 | 17:30 | 10 |
| „კრ. სოვეტ“. | 15 | 2 | 6 | 7 | 11:22 | 10 |
| „ადმირალტ“. | 16 | 3 | 0 | 13 | 18:43 | 6 |

* * *

ლ ე ნ ი ნ გ რ ა დ ი. 16 აგვისტო. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ „ზენიტი“ (ლენინგრადი)-„დინამო“ (მოსკოვი).

თამაში მოიგეს დინამოელებმა — 2:0.

* * *

მ ო ს კ ო ვ ი. 16 აგვისტო. ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის გუნდები: ცსკ მო-„ლოკომოტივი“.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

* * *

მ ო ს კ ო ვ ი. 18 აგვისტო. „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა შეხვედრა მოსკოვის „ტორპედოსა“ და სტალინოს „შახტიორს“ შორის.

მატჩის ანგარიშია 2:1 „შახტიორის“ სასარგებლოდ.



მთამსვლელი

ნახატი ო. სეხნიაშვილისა.

# ევროპის პირველობა მძლეოსნობაში

19-24 აგვისტოს შვეციის დედაქალაქ სტოკჰოლმში გაიმართება ევროპის პირველობა მძლეოსნობაში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა სპორტსმენებიც.

ამას წინათ მძლეოსნობის საკავშირო სექციის გაერთიანებულ სხდომაზე დამტკიცებულ იქნა საბჭოთა კავშირის მძლეოსანთა ნაკრები გუნდი, რომლის შემადგენლობაში არიან:

**ვაჟები.** 100 მ — ლ. ბარტენევი, ი. კონოვალოვი. 200 მ — ლ. ბარტენევი, ი. კონოვალოვი. 400 მ. — მ. ნიკოლსკი, ვ. რახმანოვი. 5000 მ — ა. არტინიუკი, ჰ. პიარნაკივი. 10.000 მ ე. ჟუკოვი, ნ. ჩუდოვი, თარჯრბენი 110 მ — ა. მიხაილოვი. თარჯრბენი 400 მ — ი. ლიტუევი, ა. იულინი, 3.000 მ დაბრკოლებებით — ს. რჟიშჩინი, ს. პონომარიოვი. სპორტული სიარული 20 კმ — ლ. სპირინი, ბ. იუნკი. სპორტული სიარული 50 კმ — ე. მასკინსკოვი, მ. კორშუნოვი. მარათონი — ს, პოპოვი, ი, ფილინი, ბადრო — კ. ბუხანცევი, ვ. ტრუსენევი, შუბი — ვლ. კუზნეცოვი, ჩ. ვალმანი, ბირთვი — ვ. ლოშჩილოვი, ვ. ლიპსნისი, ურო — მ. კრივონოსოვი, ა. სამოცვეტოვი სიგრძეზე ხტომა — ი. ტერ-ოვანესიანი, ო. ფედოსეევი, ხტომა სიმაღლეზე — ი. სტეპანოვი, ი. კაშკაროვი, საძხტომი — ო. რიახოვსკი, ვ. კრეერი, ჰოკი — ვ. ბულატოვი, ვ. ჩერნობაი. ათჭიდი — ვას. კუზნეცოვი, უ. პალუ. 1.500 მ ი. პიპინე.

**ქალები.** 100 მ — ვ. კრეპკინა, ვ მასლოვსკაია, ნ. პოლიაკოვა. 200 მ — მ. იტკინა, ვ. ზაბელინა, ლ. კეპი. 4×100 მ — ვ. კრეპკინა, ლ. კეპი, ნ. პოლიაკოვა, ვ. მასლოვსკაია, მ. იტკინა. 400 მ — მ. იტკინა ე. პარლიუკი, ვ. მუხანოვა. 800 მ — ე. ერმოლაევა, ვ. მუხანოვა, დ. ლევიცკა, თარჯრბენი 80 მ — გ. ბისტროვა, ნ. ელისეევა, ვ. მასლოვსკაია. სიგრძეზე ხტომა — ა. ჩუიკო, ნ. პროტჩენკო (კაზმინა), ვ. ლიტუევა. ხტომა სიმაღლეზე — ტ. ჩენჩიკი, გ. დოლია. ბირთვი — თ. პრესი, თ. ტიშკევიჩი. ბადრო — თ. პრესი, ა. ზოლოტუხინა, ი. ბეგლიაკოვა, შუბი — ბ. ზალოგაიტიტე, ტ. ცვეტკოვა, ე. ბოგუნი. ხუთჭიდი — ლ. შმაკოვა, ნ. ვინოგრადოვა, გ. ბისტროვა.

* * *

საკავშირო სექციის პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი სპორტის დამსახურებული ოსტატების გ. ზიბინასა და თ. ტიშკევიჩის არაამხანაგური დამოკიდებულების შესახებ თავის მეტოქეთა მიმართ.

საბჭოთა კავშირის პირადი პირველობის დროს გ. ზიბინამ და თ. ტიშკევიჩმა ჩაიდინეს საბჭოთა სპორტსმენის ეთიკისათვის შეუფერებელი საქციელი. ისინი არ გამოცხადდნენ საპატიო კვარცხლბეკზე საპრიზო მედლების მისაღებად, რითაც კანონიერი გულისწყრომა გამოიწვიეს პირველობის მონაწილეებსა და მაყურებლებში.

საკავშირო სექციის პრეზიდიუმმა გადაწყვიტა არ მიეცეთ ჯილდოები გ. ზიბინას და თ. ტიშკევიჩს მეორე და მესამე ადგილებისათვის, რომელიც მათ მოიპოვეს ბირთვის კვრაში საბჭოთა კავშირის პირველობაზე.

კოლექტივში არაამხანაგური ქცევისათვის სსრ კავშირის ნაკრებიდან გამოყვანილია სპორტის დამსახურებული ოსტატები გ. ზიბინა და ნ, პონომარიოვა.

# ახალი სისტემით

„ა" კლასის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების სათადარიგო შემადგენლობებში საწვრთნელი ვარჯიშის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტმა გადაწყვიტა მიმდინარე წლიდან სათადარიგო გუნდების საკავშირო პირველობა ჩატარდეს ერთ წრედ.

ამასთან დაკავშირებით მიმდინარე სეზონში მეორე წრის ანგარიშში ჩატარებული მატჩების შედეგები უქმდება. ამრიგად, სათადარიგო გუნდებს სათამაშო დარჩათ პირველი წრის მხოლოდ ხუთი მატჩი: „ტორპედო"-„შახტიორი", ცსკ მო-„დინამო" (მოსკოვი), „ადმირალტეეცი"-„ტორპედო", „ზენიტი"-„სპარტაკი" და „შახტიორი"-„კრ. სოვეტოვი". დარჩენილი მატჩების შედეგების მიუხედავად, პირველი ადგილი უკვე განაღდებული აქვთ „სპარტაკის" დუბლიორებს, რომლებმაც 10 თამაშიდან მოაგროვეს 18 ქულა. მათ უახლოეს კონკურენტებს მოსკოვის დინამოელებს ამდენივე თამაშიდან მოგროვილი აქვთ 15 ქულა.

თბილისის „დინამოს" დუბლიორებმა პირველ წრეში მოაგროვეს 8 ქულა და გათამაშების ცხრილში მეცხრე ადგილზე იმყოფებიან.

# დაძაბული მატჩების შემდეგ

ფ ო თ ი. (ჩვენი სპეც. კორ.). მიუხედავად იმისა, რომ ხელბურთი ჩვენს რესპუბლიკაში შედარებით ახალი სახეობაა, მან ფართოდ მოიპოვა პოპულარობა ახალგაზრდებს შორის. სწორედ ამიტომ საქართველოს მეორე პირველობის გათამაშებაში, რომელიც ფოთში შედგა, მონაწილეობდა ვაჟთა 7 კოლექტივი: თბილისის „ბურევესტნიკი", „განთიადი", აჭარის, აფხაზეთის, ფოთის, დიდი ჯიხაიშისა და რუსთავის გუნდები.

წინასწარი თამაშები ყოველგვარი მოულოდნელობის გარეშე ჩატარდა, ხოლო ფინალური მატჩები მწვავე ბრძოლით ხასიათდებოდა. ასე მაგალითად, პირველ-მეორე ადგილებისათვის ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „ბურევესტნიკი" და აჭარის გუნდი. მატჩი დამთავრდა ფრედ — 5:5.

განმეორებითი თამაშის პირველი ნახევარი აჭარის სპორტსმენთა უპირატესობით აღინიშნა — 7:4, მაგრამ შემდგომში სურათი შეიცვალა. თბილისელები გააქტიურდნენ და მსაჯის საფინალო სასტვენმა კვლავ ფრე აღნიშნა — 8:8. დაინიშნა დამატებითი დრო, რომელიც მოიგო „ბურევესტნიკმა" — ანგარიშით 11:9. ამრიგად, თბილისის „ბურევესტნიკი" გახდა საქართველოს ჩემპიონი, ხოლო აჭარის გუნდი გამოვიდა მეორე ადგილზე. ფოთის ხელბურთელთა კოლექტივს გათამაშებაში მესამე საპრიზო ადგილი ხვდა წილად.

არასახარბიელო შთაბეჭდილება დატოვეს აფხაზეთისა და დიდი ჯიხაიშის კოლექტივებმა. მათ ვერც ერთი თამაშის მოგება ვერ შეძლეს. ჩემპიონატმა გვიჩვენა, რომ საქართველოს ხელბურთელთა თამაშის კლასი გასულ წელთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა, ეს განსაკუთრებით ტექნიკურ მომზადებას ეტყობა, მაგრამ ტაქტიკის მხრივ ჩვენი, გუნდები კვლავ სუსტნი არიან. ცალკეულ მოთამაშეთაგან აღნიშვნის ღირსნი არიან ანთიძე, კოპალეიშვილი (თბილისის „ბურევესტნიკი"), თხილაშვილი, ოვჩინიკოვი (ბათუმი), ჰედია, გურგენიძე (ფოთი) და სხვ.

**გ. შარაშიძე,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი,
**ა. ლომაია.**

# საუკუნის მატჩი

## ჟურნალისტის შენიშვნები

### სამი რეკორდსმენი

ორ მათგანს — პერი ობრაიენსა და გლენ დევისს მსოფლიო რეკორდსმენობის დიდი სტაჟი და გამოცდილება აქვთ. როცა ხუთი წლის წინ პერიმ პირველად ჰკრა ბირთვი სარეკორდო მანძილზე, მის წარმატებას მაინცდამაინც აღფრთოვანებით არ შეხვდნენ. რა მოხდა? შეერთებულ შტატებს შეემატა ერთი კიდევ ახალი რეკორდსმენი. მორჩა და გათავდა. მაგრამ, როცა პერიმ ამ ხნის განმავლობაში რეკორდს თითქმის 150 სანტიმეტრი შემატა, მასზე ერთხმად და ხმამაღლა ალაპარაკდნენ. ობრაიენი იყო მსოფლიოში პირველი ბირთვისმკვრელი, რომელმაც გადალახა ჯერ 18, შემდეგ კი 19-მეტრიანი ზღვარი.

მოსკოვში ვარჯიშის დროს ობრაიენი, როგორც წესი, ბირთვს 20 მეტრამდე აგზავნიდა. შეჯიბრებაზე კი მან 19 მ და 14 სმ აჩვენა, ამასთან ბირთვის კვრის მთელი მანიპულაცია ამერიკელმა შეასრულა მსუბუქად და უბრალოდ.

დასასრული. იხ. „ლელო" № 97, 98.



არანაკლებ თვალსაჩინო მოვლენაა მძლეოსნობაში გლენ დევისი. რა შეიძლება ითქვას მასზე? ეს შესანიშნავი სპორტსმენი მაყურებელს ჰიპნოზში აგდებს, ვინაიდან იგი და გამარჯვება ძმები არიან. უკანასკნელ ხანებში სადაც კი აიღო სტარტი დევისმა, ყველგან პირველი მივიდა. ტაში და ალტაცება აი რით გამოხატავს მაყურებელი თავის უსაზღვრო სიმპათიას ამ შესანიშნავი სპორტსმენის მიმართ.

ოლეგ რიახოვსკი რეკორდსმენთა რანგს სულ მცირე ხანია, რაც შეუერთდა, მაგრამ რეკორდიც არის და რეკორდიც. რიახოვსკი მსოფლიოს სპორტულ საზოგადოებრიობაში უჩვეულო სიმაღლეზე ავიდა მხოლოდ იმიტომ, რომ მან რეკორდი წაართვა ფენომენალურ ბრაზილიელს ა. ფ. და სილვას. აი ეს იყო რიახოვსკის მთავარი დამსახურება. შორეული ბრაზილიელი რეკორდსმენი დამარცხდა ათასობით მაყურებლისა და მსოფლიოს ყველა ქვეყნის სპეციალისტის თვალწინ. ამჟამად სამხტომში მსოფლიო რეკორდების გრაფაში ჩაიწერა ტაშკენტელი ინჟინერის ოლეგ რიახოვსკის გვარი და ციფრები — 16 მ 59 სმ.

* * *

„საბჭოთა კავშირის მძლეოსანთა ნაკრებმა დაამარცხა შეერთებული შტატები ორი ქულით — 172:170.

„ეს არის საუკუნის მატჩის მთავარი სენსაცია" — წერდნენ უცხოელი ჟურნალისტები. იყო თუ არა ჩვენი გუნდის გამარჯვება სენსაცია? თუ მხედველობაში მივიღებთ ამერიკელთა მრავალი წლის აშკარა ჰეგემონიას მძლეოსნობაში — ეს, რა თქმა უნდა სენსაციაა. მაგრამ იგი არ იყო გამოწვეული რაღაც მოულოდნელი წარმატებით ან წარუმატებლობით. ამ სიტყვების დასამტკიცებლად მივმართოთ ფაქტებს — უბრალო და ჩვეულებრივ მათემატიკას.

უცხოელების აზრით გადამწყვეტი როლი გამარჯვებაში ითამაშა 5.000 მეტრზე რბენაში ესტონელი პიარნაკივის გამარჯვებამ, რომელმაც მკერდით გაუსწრო ამერიკელ დელინჯერს. შეიძლება ეს ასეც იყო, მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ამ სახეობაში სუსტად გამოვიდა მთავარი ფავორიტი ბოლოტნიკოვი (მან პირველსავე წუთზე დაიწყო კოჭლობა და დისტანცია ასევე დაამთავრა). თუ მოულოდნელობაზეა ლაპარაკი, უფრო მოულოდნელი იყო დელინჯერის წარმატება, ვიდრე ესტონელი პიარნაკივისა.

პროგრამის 28 სახეობამდე წინ ამერიკელთა გუნდი იყო, მაგრამ საბჭოთა მძლეოსნების წარმატებამ 3.000 მეტრზე დაბრკოლებებით რბენაში შეცვალა ძალთა შეფარდება. ამის შემდეგ ჩვენს გუნდს ლიდერობა ამერიკელთათვის აღარ დაუთმია.

ხპორტი სპორტია, დღეს ერთია წინ, ხვალ მეორე. შეიძლება ამერიკელებმა მწვავედ განიცადეს ეს დამარცხება. ისინი მოემზადებიან რევანშისათვის. ეს ყველამ იცის. მოემზადება საბჭოთა გუნდიც და მომავალ წელს ძველი სპორტული მეტოქეები კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს, ამჯერად ოკეანის გაღმა. თუ ვინ მოიგებს შეხვედრას, ამას დრო გვიჩვენებს, მაგრამ მომავალი ბრძოლა ასევე მეგობრულად და გულთბილად (ამაში ეჭვი არ გვეპარება) ჩატარდება.

**ნ. გუგუშვილი**

ს უ რ ა თ ზ ე: საბჭოთა მძლეოსანი ი. კრეერი, რომელმაც სამხტომში მეორე ადგილი დაიკავა.

# რესპუბლიკურ კომიტეტში

საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა მრავალი წლის საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და დავალებათა უმწიკვლო შესრულებისათვის „საზოგადოებრივი ინსტრუქტორის" ნიშნით დააჯილდოვა შემდეგი ამხანაგები:

ე. მაჭავარიანი — კინოსტუდიის ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე, ო. ეგიაზაროვი — კალინინის სახელობის ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე, ი. ზულიევი — ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის ფეხბურთის სექციის თავმჯდომარე, გ. გუჯაბიძე — ავტოსარემონტო ქარხნის მწვრთნელი ფრენბურთში, ნ. ხინველი — საქსოვ-სატრიკოტაჟო კომბინატის ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე, ო. ოგანეზოვი — ავტოსარემონტო ქარხნის მწვრთნელი ფრენბურთში, კ. პროზოროვი — კიროვის სახ. ჩარხმშენებელი ქარხნის მწვრთნელი სროლაში, რ. არუთინოვი — საქსოვ-სატრიკოტაჟო კომბინატის ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ო. იაშალაშვილი — ტაბახმელის კოლმეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე, ლ. ფხაკაძე — მაუდ-კამვოლის ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე და ი. არსენიშვილი — აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მწვრთნელი და მსაჯი ფრენბურთში.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის 3-89-62, მდივნისა და განყოფილებების 3-90-34.



საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03970